ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

24 (10011) • 17 ivnisi • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ალეკო მამეშვილის განცხადება

ძვირფასო ოზურგეთელებო,

მინდა გაცნობოთ, რომ მივიღე გადაწყვეტილება საკრებულოს თავმჯდომარის პოსტის დატოვების შესახებ. თავს მოვალედ მივიჩნევ, ამის თაობაზე განმარტება გაგიკეთოთ თქვენ, ჩემს ამომრჩეველს, ვისთანაც პირველ რიგში ვარ მოვალე და ანგარიშვალდებული.

გულახდილად გეტყვით, ჩემი პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, ეს არ იყო იოლი გადასაწყვეტი. იგი გახლავთ შედეგი იმ ხანგრძლივი, და ამავე დროს ურთულესი წინააღმდეგობებისა, რომელსაც ბოლო დროს ვაწყდებოდი როგორც საკუთარ თავთან, ისე მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილ ახალ პოლიტიკურ რეალიებთან მიმართებაში. ჩერჩილს უყვარდა ასეთი გამოთქმა. ,,პესიმისტი ყველა შანსში სირთულეს ხედავს; ოპტიმისტი კი ყველა სირთულეში - შანსს". მე კი, როგორც გამუსწორებელ ოპტიმისტს, ბოლო დრომდე მჯეროდა, რომ ამ ახალ გამოწვევას ერთად დავძლევდით, საკრებულო გამონახავდა საკუთარ თავში ძალას დამდგარიყო თავის სიმაღლეზე.

მოვლენათა ლოგიკამ კი დამანახა, რომ ასე არ მოხდებოდა, რითაც სულ უფრო გამიმძაფრდა განცდა იმისა, რომ როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი, არასრულფასოვნად ვასრულებდი კანონით მონიჭებულ ფუნქციებს. ამის მიზეზი ის არავანსაღი, არაკონსტრუქციული, ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი ურთიერთობები გახლდათ, რაც პირადად ჩემსა და თვითმმართველობაში კოალიცია ,,ქართული ოცნების" ცალკეულ წამომადგენლებსა და მხარდამჭერებს, მათ შორის მუნიციპალიტეტის გამგებელს შორის თანდათან ჩამოყალიბდა. დეტალებზე საუბარს არ შევუდგები, თუმცა ვიტყვი, რომ ამ გადაწყვეტილების მისაღებად ბოლო წვეთი გამგეობის პირველი პირების მხრიდან ურეკში დაგეგმილი საკრებულოს ბიუროს გამსვლელი სხდომის მიზანმიმართული ჩაშლა გახდა, სადაც მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო. ამას კიდევ წინ უძღოდა ჩემგან პრინციპული უარი გამგებლის კატეგორიულ მოთხოვნაზე, განმეხორციელებინა ირიბი ზეწოლა ერთ-ერთ მედიასაშუალებაზე.

მიმაჩნია, რომ ოზურგეთის სინამდვილეში ჩემი ხელმძღვანელობით საკრებულოს საქმიანობის სამწლიანი მონაკვეთი იყო საკმაოდ პოზიტიური და შედეგიანი. ამას უშუალოდ საზოგადოებასთან ჩემი ყოველდღიური ურთიერთობებიც მიდასტურებს. ხოლო ისეთ ვითარებაში, როცა საკრებულოს ქმედითუნარიანობა საფრთხის წინაშე დგას და მე ვერ ვახერხებ შექმნილი სიტუაციის სასიკეთოდ გამოსწორებას, ვფიქრობ, ერთადერთი სწორი გამოსავალი ჩემი თანამდებობიდან წასვლაა. მხოლოდ ამ გზით შევინარჩუნებ, პირველ რიგში, იმ ზნეობრივ ფასეულობებს, რითაც დღემდე მიცხოვრია, მეორეს მხრივ კი, თავიდან ავიცილებ საკრებულოს წევრებს შორის არავანსაღ დამოკიდებულებას, მის დემორალიზაციას, რისი ნიშნებიც უკვე სახეზეა. სწორედ ამიტომ, ისღა დამრჩენია, საერთო საქმის უკეთესად კეთების შანსი მივცე და წარმატება ვუსურვო ჩემს შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარეს.

პატივისცემით, **ალეკო მამეშვილი**
14 ივნისი, 2013 წ.

დიმიტრი კვერღელიძე უალტერნატივო კანდიდატია

გაზეთი ალიონი

გუშინ, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებს შეხვდა. შეხვედრას 29, დეპუტატთა უმრავლესობა და ყველა ფრაქცია ესწრებოდა. მას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილი უძღვებოდა.

განიხილეს საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის საკითხი. ფრაქცია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომარე ლევან ნინიძემ საკრებულოს თავმჯდომარიბის კანდიდატად დეპუტატ დიმიტრი კვერღელიძის კანდიდატურა დაასახელა. ყველა ფრაქციამ კვერღელიძის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

დეპუტატებმა ხვნა-თესვის მიმდინარეობის პროცესებზე მუნიციპალიტეტის გამგებელს კოტე შარაშენიძეს დაუსვეს შეკითხვა. კოტე შარაშენიძემ ინფორმაცია გააკეთა მიმდინარე სამუშაოებზე.

დიმიტრი კვერღელიძემ გაზეთ ,,ალიონთან" განაცხადა, რომ დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს და ახალ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ, მის ცოდნასა და გამოცდილებას ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ დასახული კურსის განხორციელებას მოახმარს. მას სჯერა, ოზურგეთელი დეპუტატები მხარში დაუდგებიან სასიკეთო საქმეების კეთებაში.

შეხვედრის შემდეგ ფრაქცია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომარე **ლევან ნინიძემ** გაზეთ ,,ალიონთან" შემდეგი კომენტარი გააკეთა:

—ჩემთვის დიმიტრი კვერღელიძის კანდიდატურის დასახელებისას მთავარი მოტივაცია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი რგოლის ერთიანი მუშაობა იყო. ისინი ერთი საქმისათვის, ერთი სიკეთისათვის უნდა იღვწოდნენ, რომელიც ოზურგეთს სიკეთეს მოუტანს. მთავარი იქნება ამ ორი რგოლის შეთანხმებული მუშაობა. იცით, იყო ცოტა გამრუდებული ურთიერთობები, მაგრამ მე მჯერა დიმასაც შეუძლია ადამიანებთან ურთიერთობა, ასევე კოტე შარაშენიძისაც მჯერა.

—რა რაოდენობის მხარდამჭერი ჰყავს საკრებულოში დიმიტრი კვერღელიძეს?

—შეხვედრას ყველა ფრაქცია და დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა დაესწრო. არ გამოვრიცხავ, არჩევნებამდე საკრებულოს დეპუტატთა რაღაც ჯგუფმა განსხვავებული აზრიც წარმოადგინოს, მაგრამ, ვფიქრობ, დიმა კვერღელიძის კანდიდატურას საკრებულოს სხდომაზე ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით აირჩევენ.

— სხვა რა საკითხები განიხილეთ?

—კოტე შარაშენიძეს ხვნა-თესვის საკითხებზე დავუსვით შეკითხვა. მე პირადად მიწისძვრით დაზარალებულებულებზე დახმარების შესახებ მქონდა შეკითხვა. სოფ. ასკანაში ასეთი 22 ოჯახი გვყავს. მათ შორის ერთს სახლი არ აქვს. ეს თემა წლების მანძილზე ისმებოდა, მაგრამ უშედეგოდ. ახლა დახმარებას შემპირდნენ.

ხანძარმა ექვსი ადამიანი ღია ცის ქვეშ დატოვა

გაზეთი ალიონი

ბოლო წლებში ოზურგეთის სახანძრო სამსახური ხელისუფლებიდან ითხოვდა დახმარებას მოძველებული ტექნიკის შეცვლისათვის. იყო დაპირებები, მაგრამ არ სრულდებოდა. უცხოური დონორი ორგანიზაციებიც ჩაერთნენ პრობლემის მოგვარების საქმეში. ჩეხებმა ოზურგეთელი მეხანძრეები კვალიფიკაციის ასამაღლებლად თავიანთ ქვეყანაში მიიწვიეს, მაგრამ 4-კაციან ჯგუფში ძლივს ,,ამონახეს" სახანძროს უფროსის ადგილი. შემდეგ პოლონელები პირდებოდნენ დახმარებას, ,,ნაციონალების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატიც, მაგრამ... დარჩა ოზურგეთის სახანძრო რაზმი ძველი ტექნიკის ამარა.

ეს შესავალი იმიტომ გავაკეთეთ, რომ სოფ. ვაკოჯვარში მომხდარი ხანძრის შედეგები იმ ადამიანების კისერზეა, ვისაც ბიუჯეტის სწორი განაწილება ევალებოდათ.

13 ივნისს, შუადღისას, ხანძარი გაუჩნდა ამირან მდინარაძის ორსართულიან საცხოვრებელ სახლს. დაუკავშირდნენ 112-ს.... როგორც ვაკოჯვრელები ამბობენ, სახანძრო რაზმი შემთხვევის ადგილას საათნახევრის შემდეგ მივიდა...

მთლიანად განადგურდა ორსართულიანი წაბლის სახლი. 6-სულიანი ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა.

ოჯახში ცხოვრობენ: 80 წლის ვენერა მდინარაძე, შვილი ამირანი, რძალი ნათელა და შვილიშვილები —სკოლის მოსწავლეები ანუკა, ლანა, გვანცა მდინარაძეები.

უცნაურია, ეს ხანძრის მესამე შემთხვევაა ამ ოჯახში. როგორც ოჯახის უფროსი ამირანი ამბობს, წინა ხანძარი დაახლოებით 60 წლის წინ მომხდარა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი კოტე შარაშენიძე ოჯახში მივიდა და სტიქიიდან დაზარალებულთა ფონდიდან ოჯახს დახმარებას შეპირდა. უახლოეს დღეებში სახლს გადახურავენ.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა დღით სოფ. ბაღდადში გაწშენდითი სამუშაოების შესრულებისას გაუფრთხილებლობით ავტომანქანა ,,უაზი" დაიწვა.

დარბაზის პირველი სხდომა ხმაურიანი აღმოჩნდა

გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +19+23	წვიმა +19+23	წვიმა +17+22	წვიმა +17+24	წვიმა +18+26	მზე, ღრუბელი +17+28	მზე, ღრუბელი +16+24
17 ივნისი	18 ივნისი	19ივნისი	20 ივნისი	21 ივნისი	22ივნისი	23ივნისი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

დარბაზის პირველი სხდომა ხმაურიანი აღმოჩნდა

გაზეთი „ალიონი“

11 ივნისს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მაჟორიტარმა დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ დარბაზის პირველი სხდომა გამართა. დარბაზის სხდომაზე 70 ადამიანი იყო მიწვეული, მაგრამ დასწრების მსურველი გაცილებით მეტი აღმოჩნდა.

სხდომას ზვიად კვაჭანტირაძე და საქართველოს პრემიერის მრჩეველი ირაკლი მელაშვილი უძღვებოდნენ.

თავდაპირველად ზვიად კვაჭანტირაძე დარბაზს ესაუბრა ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე, პარლამენტში მიმდინარე პროცესებზე და იმ პოლიტიკურ გამოწვევებზე, რაც დღეს საქართველოში ხდება.

—თუ რეგიონები არ გაძლიერდა, თუ არ ჩამოვაყალიბეთ რეგიონული ცენტრები, ქვეყანას ფეხზე ვერ დავაყენებთ —განაცხადა ირაკლი მელაშვილმა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე და იმ პრობლემებზე ისაუბრა, რაც მარტო გურიის რეგიონს არ აწუხებს.

შემდეგ ოზურგეთში მიმდინარე პროცესებზე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა კოტე შარაშენიძემ გამგეობის მიერ განხორციელებულ პროექტებზე დაიწყო საუბარი.

ამ პროცესში ჩაერთო ნუგზარ გიორგაძე, რომლის მიერ სოფლის მეურნეობის კუთხით დასმული შეკითხვა თანდათან ბრალდებებში გადაიზარდა.

—არ მინდა არავისი სამსახური, მე ვარ ხალხის სამსახურში. ყურები გამოიფხეკეთ და ხალხს უთხარით სიმართლე ჟურნალისტებო —მიმართა მან მედიას.

—რის კოჰაბიტაცია, რა კოჰაბიტაცია, არის კოალიცია ოზურგეთში? —დასვა კითხვა. გიორგაძემ თავისი კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა ძალოვნების მიმართ და თქვა, რომ ის ხალხი, რომლებიც გუშინ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ებრძოდა, დღეს თანამდებობებზეა „კაცი, რომელმაც დედა გვიტირა, დღეს პოლიციის უფროსია.“

მან გამგებელს კრიტიკა სოფლის პროექტების გამო დაატეხა თავს.

—რატომ ახდევინებენ ტრაქტორისტები გლეხებს ჩალიანში დამატებით 12 ლარს?

ამ კითხვაზე პასუხი სოფლის მეურნეობის ახლადშექმნილ სამსახურს უნდა გაეცა, მაგრამ ამ სამსახურის უფროსმა გიორგი ჭყონიამ დარბაზში ხმაურის ფონზე პასუხების გაცემა მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო.

კოტე შარაშენიძის მიმართ თავისი კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა ჩაის მწარმოებელმა ილია ბასილაშვილმა. მას ოთხი დღეა არ მიეწოდება ელექტროენერგია. რაშიც გამგებლის ახლობელი დაადანაშაულა.

კრიტიკული გამოსვლები ჰქონდათ რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერს მარინა სუნგულიას, საკრებულოს დეპუტატ ლელა ნაცვალაძეს.

სოფლის მეურნეობის კუთხით დასმული კითხვების გამო მაჟორიტარმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა დავით კირვალიძემ და ფიფიამ არ გაითვალისწინეს პარლამენტის აგრარულ კომიტეტში შეტანილი მათი რეკომენდაციები.

რაც შეეხება კოჰაბიტაციას, ეს ის მოცემულობაა, რომელშიც გვიწევს მუშაობა.

გუშინ ღამით დარბაზის სხდომის გარშემო „განხილვები“ ქალაქის სხვადასხვა ადგილებში გაიმართა. ერთ-ერთში გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მაღალჩინოსანიც მონაწილეობდა.

ტიფო მიქატაძე ალეკო მამეშვილისგან ბრალდების დაკონკრეტებას ითხოვს

ტიფო მიქატაძე, რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე:—

ალეკო მამეშვილის გადადგომასთან დაკავშირებით რამდენიმე მომენტი მინდა აღვნიშნო: —პირველი, როცა იგი საუბრობს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ, ბატონი კოტე შარაშენიძის მხრიდან ზეწოლაზე, საინტერესოა, მან დააკონკრეტოს რა სახის ზეწოლაზე აქვს აქ საუბარი. ზეწოლა შეიძლება პოლიტიკური ხასიათის, რომელიც ბუნებრივია, სხვა პარტიის მხრიდან და ამ შემთხვევაში გამარჯვებული პარტიის მხრიდან. აქ საუბარი გვაქვს პოლიტიკურ ბრძოლაზე. თუ სხვა ზეწოლაზეა საუბარი, საჯარო მოხელის მიმართ ძალადობის გამოყენებაზე, ან იძულების სხვა ფორმებზე, მაშინ მან ამის შესახებ ღიად უნდა განაცხადოს. მას ელოდება საზოგადოება და მათ შორის ჩვენ, ვინც ამ პოლიტიკური კოალიციის წევრები ვართ.

მეორე მომენტი, როცა საკრებულოს, ყოფილი მმართველი პარტიის, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი ტოვებს ასეთ მაღალ თანამდებობას, ეს პრინციპში ცუდი არ არის, თუკი თავად საკრებულოში მომწიფდება განწყობა იმისა, რომ წავა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, რომელსაც ქვეყნის და საზოგადოების წინაშე გარკვეული არასასიამოვნო, გარკვეული ძალადობრივი, უკანონო ქმედებები აქვს ჩადენილი, რის გამოც, ისინი აღმოჩნდნენ ოპოზიციაში —ცუდი არ არის. მის ნაცვლად მოდის მისი შემცვლელი. მაგრამ აქ საინტერესო არის ის, თუ ვინ იქნება შემცვლელი, თუ რა ამბიციებია საკრებულოში., როგორ დაბალანსდება ეს ამბიციები საკრებულოს წევრებს შორის, რა სახის კონსულტაციები იქნება, რა სახის ინტერესთა ბალანსი მოინახება შემცვლელის დასაწინაურებლად. შემდგომში საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღება რა მეთოდების, რა ხერხების, მათ შორის პოლიტიკური ხერხების გამოყენებით იქნება მიღწეული. მე პირდაპირ ვამბობ, რომ კოალიციაში შემავალ პარტიებს შორის (მე ჩემს პარტიას ვგულისხმობ, ოზურგეთში გადაწყვეტილების მიღებისას კოალიციური რეჟიმი არ არსებობს) ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების მომენტშიც, რომელიც საკრებულოს ახალი თავმჯდომარის არჩევას ემსახურება, ალბათ არ იქნება გათვალისწინებული „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის მხრიდან. რამდენად მიიღებს მასში „ფორუმი“ მონაწილეობას, მე არ ვიცი, მაგრამ კოალიციის ერთ-ერთ პარტიას „თავისუფალ დემოკრატებს“ ჰყავთ წარმომადგენელი საკრებულოში და საინტერესო იქნება მისი ამბიცია, თამამად აცხადებს ბატონი დიმა კვერღელიძე, მოვიდეს

გვ-2

ნუგზარ გიორგაძე სოფლის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებისას დამატებითი თანხების გადახდევინების ფაქტებზე სასამართლოს მიმართავს

ნუგზარა ასათიანი

14 ივნისს, სოფ. ცხემლისხიდის ცენტრში ნუგზარ გიორგაძემ სოფლის მცხოვრებლებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას დაახლოებით 15 ადგილობრივი მცხოვრები და ამდენივე სტუმარი ოზურგეთიდან დაესწრო.

როგორც **ნუგზარ გიორგაძემ** აღნიშნა, მისთვის არ იყო მთავარი დამსწრეთა რაოდენობა, მთავარია ის საკითხი, რაც მას, როგორც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ გულშემატკივარს აწუხებს. ეს გახლავთ მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის არასწორად წარმართვა.

სოფ. ცხემლისხიდს მოლიან-ჩალიანში და ადგილზე 106 ფექტარი სახნავ-სათესი ფართობი აქვს. სოფელს სამი ტრაქტორი შემორჩა ადგილობრივმა ტრაქტორისტებმა შეასრულეს სამუშაოები.

ხელოვნური საბიტაჟი უწოდა გიორგაძემ იმას, რომ გლეხებს ხვნა-თესვაზე დამატებით 12 ლარს ახდევინებდნენ. რის საფუძველზე, ვინ დაადგინა, სად არის თუნდაც ერთი დამადასტურებელი ქვითარი მაჩვენონ, გლეხებს რაში გადაახდევინეს ფული. სად მიდის ეს თანხები? მიზერულ თანხებს უხდიან ტრაქტორისტებს. რატომ არ მოვიდა შეხვედრაზე სოფლის რწმუნებული? ჩვენ სამართალდამცავ ორგანოებს შევატყობინებთ, რა ხდება ოზურგეთში —განაცხადა გიორგაძემ.

მიტო ჯინჭარაძემ, რომელიც ადრე სოფელში ბრიგადირად მუშაობდა, დაადასტურა, რომ მან, როგორც სხვებმა დათესვასა და ჩელტის გატარებაში გადაიხადა 12 ლარი. ამაში მას ეჭვი არ შეუტანია.

შაქრო ჭანუკვაძე— 71 წლის კაცი ვარ. პატარა ვიყავი ომის დროს, რა არ გადავიტანეთ, შიმშილი, სიცივე, ათასი უბედურება. ამ ოცი წლის წინ დაინგრა ყველაფერი, როგორც მეანბრეებს გაუკეთეს, ისე მოგვექცნენ ჩვენ მეპაიეებს. გაგვყიდეს ყველაფერი და დაგვტოვეს უპატრონოდ. ხოლოდ სამი ტრაქტორი შეინარჩუნა სოფელმა იმ ადამიანების საშუალებით, რომლებიც ამ ტრაქტორებზე მუშაობდნენ. გლეხებს მეტი ყურადღება სჭირდებათ.

ტრაქტორისტი თენგიზ ფასიეშვილი მუნიციპალიტეტის გამგებელს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართული შეხვედრისას მიყენებული შეურაცხყოფის გამო უჩივის.

სხვადასხვა სოფლებში მსგავსი ფაქტები დაასახელა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ადგილობრივმა ლიდერმა **მარინა სუნგულიამ**.

შეხვედრაზე ოზურგეთელი ადვოკატებიც იყვნენ მიწვეულნი. როგორც შემდეგ გაზეთ „ალიონთან“ ადვოკატმა **გორა ძიმისტარაშვილმა** განმარტა, იგი ჩაერთვება გლეხებზე დამატებითი გადასახადის გადახდევინების სამართლიანობის გარკვევის პროცესში. ამ ეტაპზე მის გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ შეხვედრაზე მყოფ არც ერთ გლეხს სამუშაოების შესრულების შემდეგ და თანხის გადახდისას არანაირ დოკუმენტზე ხელი მოწერილი არ აქვთ.

* * *

ჩვენ ამ თემაზე სოფ. ცხემლისხიდის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებს და ამ სოფლის მაჟორიტარ დეპუტატს ნესტორ ჟღენტს შევხვდით.

— ჩვენ სოფლის მცხოვრებლებთან შეხვედრას ადმინისტრაციული შენობის დარაზში ვგეგმავდით. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არის არასწორი კომბინირებული ბარათის მფლობელთ, ვისაც გაჩნიათ 0, 25 ჰექტარზე მეტი ფართობი, ან ნომინალურის მფლობელთ, რომელთაც ფართობები ჰქონდათ მასივებში უფასოდ ჩაუტარდათ ამ ბარათით გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო შემდეგ დათესვისა და დაჩელტვისათვის გადაიხადეს 1000 კვ. მეტრზე 12 ლარი.

— რა დოკუმენტის საფუძველზე ხდებოდა ამ თანხის გადახდევინება?

დავით ჭანუკვაძე, რწმუნებული —ჩვენ აპრილის დასაწყისში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს შევხვდით, სადაც განგვიმარტეს, რომ საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამით 2 ოპერაცია იყო უფასო, ხოლო მომდევნო ორი —ფასიანი. ჩვენთან სოფელში ამ თემაზე მონიტორინგის ჯგუფიც მუშაობდა.

ნესტორ ჟღენტი, დეპუტატი:— ჩვენ ყოველთვის მზად ვართ შევხვდეთ სოფლის ნებისმიერ მცხოვრებს და პასუხი გავცეთ დასმულ კითხვებს. დღეს სოფლის პროექტებზე ვსაუბრობდით. ეს პრიორიტეტები სოფლის მოსახლეობამ აირჩია. ვიცი, გასაგებია, ყველა მოსახლემ სათანადოდ ვერ ისარგებლა საგაზაფხული სამუშაოების პროექტით. ამის მიზეზები არის, მაგრამ მთავარია, კარგი საქმე გაკეთდა და მომავალში ეს პროექტი დაიხვეწება.

* * *

მარინა სუნგულია: —მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით ძალიან კარგი შედეგი უნდა მიგვეღო. ამ პროექტს, გარდა უშუალო შედეგისა, ადამიანებიც მომავლისთვის უკეთესობის იმედით უნდა განეწყოთ. მათ უნდა დაენახათ სამართლიანობა, რომ გვერდით უდგანან. იმდენად ცუდად მოხდა ეს პროცესი, რომ ლამის უკუშედეგი მივიღეთ. რა თქმა უნდა, ადამიანები მადლიერნი არიან იმით, რაც მიიღეს, მაგრამ უჩნდებათ უსამართლობის განცდა.

რამ გამოიწვია ეს?

დაიბარეს სოფლის რწმუნებულები მუნიციპალიტეტში და დაავალეს მოეტანათ ინფორმაცია, მათ სოფელში (დაბაში) ვის რამდენი ფართობი ჰქონდა. ამ დროისათვის სოფლის რწმუნებულებად ძირითადად ნაციონალების კადრები მუშაობდნენ და მივიღე ინფორმაცია (მაშინ დეპუტატის ბიუროს ვხელმძღვანელობდი), რომ ეს რწმუნებულები არასწორ აღრიცხას აკეთებდნენ. ისინი საბოტაჟს ეწეოდნენ. ცდილობდნენ, „ქართული ოცნების“ მომხრეებს არ მოსწეოდათ ვაუჩერი, ხოლო ნაციონალების მომხრეებს უზრდიდნენ მიწის რაოდენობას. ანალოგიური ხდება „გლობალ ტვ“-ს უფასო ანტენების დადგმაზეც.

მე მივედი მუნიციპალიტეტის გამგებელთან და ვუთხარი: —ნუ ჩაუგდებ ამ პროგრამას ხელში რწმუნებულებს. გამოყავით ყველა სოფელში „ქართული ოცნების“ ერთი ან ორი აქტივისტი, რომლებიც რწმუნებულებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ამ პროცესში-მეთქი.

— შარაშენიძემ არ გაითვალისწინა ჩემი რჩევა და მივიღეთ შედეგიც. ძალიან დიდი ქაოსია. ხალხმა ვერ გაიგო, ერთ ჰექტარ სახნავზე მიიღო ნაკლები და ხეხილზე მეტი. ხალხს არ აუხსნეს ამ ბარათების მნიშვნელობა. სოფლის მეურნეობის სამსახურში მოიყვანეს ისეთი კაცი, თუ რა შეუძლია ჟურნალისტებმაც და მოწვეულმა საზოგადოებამ ნახა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ შეხვედრაზე.

საზოგადოებას აქვს კითხვა, რატომ იღებენ ზოგან დამატებით 10 ლარს, ზოგან—12, ზოგან—15, ზოგან — 20 ლარს? არანაირი ხელშეკრულებები არ ფორმდება, გლეხიდან ფულის მიღებაზე ჩეკი არ იჭრება. რა ხდება?

ძალიან კარგი საქმეა, ისეთი ფართობები დაიხნა, წლებია ტრაქტორის გუთანი არ გაკარებია, მაგრამ რატომ უნდა მიგვეღო ასეთი შედეგი, როცა უნდა ყოფილიყო გაცილებით უკეთესი.

იყო სურვილი, ყური დაეგდოთ მამულის ხმისთვის

ნინო ნიკოლაიშვილი

საქართველოს ისტორია დახუნძლულია უმძიმესი ქარტეხილებით, როცა მტერი, ოთხივ კუთხით მოძალებული, არა მხოლოდ ფიზიკური გადაგვარების მოსურვე იყო ქართველთა, მის სულიერ და ზნეობრივ გატეხვასაც ცდილობდა დღემუდამ. მიტომაც აწიოკებდა ოჯახებს, ანგრევდა ტაძრებს და ჩეხდა ვაზს – ბალავარს ერის ძლიერებისას. ბრძოლას რომ ბრძოლით პასუხობდა ერი, ათასგვარი ხრიკებით მოეძალა მტერი, ერიც ბევრჯერ წამოეგო ანკესს და მწერლის თქმისა არ იყოს, „–... დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ფარას“, რომელსაც მამულიშვილთა მკვნესარე შემოძახილი ახსენებდა დროდადრო უფსკრულთან მიახლოებას. ბევრი რამ მზაკვრული ჩანფიქრი, მაოხრებელი გზირივით, ავად აუხდა ქვეყანას. შხამნარევი შარბათითაც უხვად დაიბანგა. „ციხე შიგნიდან გატყდებისო“ ნათქვამია, და სწორედ ყველაზე მძიმედ გადასატანი მაინც შიდა ღალატი თუ უგნურებანია, რომლითაც მტერი ხშირად აღწევდა და აღწევს მიზანს.

დრო გვაშორებს ძნელბედობის პერიოდებს და დროს კვლავ მოაქვს განსაცდელი. XXI საუკუნეც არაფრით განსხვავდება ამ კუთხითო, საუბრობენ და დასაფიქრებელიც ბევრია, შეიძლება ითქვას მომეტებული, რადგან ვერაგულად დაიხვეწა ბრძოლის ფორმები. ერთობ გამჭრიახი თვალი და ყური უნდა გქონდეს, შედეგზეც რომ იფიქრო ან საფიქრალს რა დაულევს ქართველ კაცს, როცა „... ისევ დგას დღის წესრიგში, ბედი ქართლისა და ბედი ხვალის!“

ამ საფიქრალმა შეჰყარა ერთად ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენლები. როგორც ადრე ვიუწყებოდით, დაფუძნდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, „სანთელი“, რომლის მიზანია ერის სულიერი ფასეულობების დაცვა და პოპულარიზაცია. შესაბამისად გამოცხადდა კონკურსი „ჩვენი დროის ზნეობრივი მაგალითი.“ კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლათა მოსწავლეთათვის. პირველ ეტაპზე შიდასასკოლო. გამოვლინდა 25 ნაშრომი, აქედან 20 თხზულება, 5 ნახატი. საბოლოოდ შეირჩა 5 თხზულება და ერთი ნახატი.

10 ივნისს გამართულ ღონისძიებას მსახიობი ზაზა ჯინჭარაძე უძღვებოდა. პირველ ნაწილში ლევან მჟავანაძემ ორგანიზაციის დებულების შესახებ ისაუბრა. პედაგოგმა ნინო გოგეშვილმა კონკურსის ფორმა და ორგანიზაციულ საკითხები გააცნო საზოგადოებას. ავთანდილ თავართქილაზემ სზოგადოების შემდეგ მიზნებზე გაამახვილა ყურადღება, პედაგოგმა ლალი ბასილაშვილმა კონკურსის მონაწილე ბავშვთა თხზულებების მოკლე მიმოხილვა წარმოადგინა. პირველი ადგილი მიენიჭა თემას „მოძღვარი“ ავტორი ნასაკირალის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე მარიკა ვანაძე. ეძღვნება მამა ლუკას. „... ჩვენ თუ „სულიწმინდის ტაძარნი ვართ“, ეს მამა ლუკას ოჯახში იგრძნობა. აქ არ კლავენ, არ აგინებენ, არ განიკითხავენ, მარხულობენ, ლოცულობენ, მოწყალებას გასცემენ, ღმერთს მადლობენ, „ჯიხაროდენ ღარიბნო“, იტყვის თურმე უფალი, მამა ლუკას ოჯახში ხატების გარდა ერთ ძვირფას ნივთსაც ვერ იპოვით, მაგრამ ამაზე მდიდარი ოჯახი მე არ მეგულება.“

II ადგილი – „სიცოცხლე მოძრაობას ითხოვს“ ავტორი ანა ქერქაძე, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა IX კლასი. ეძღვნება რესპუბლიკის დამსახურებულ ბიბლიოთეკარს ქნ ზინა სალუქვაძეს. „...მას არა ვალდებულება, არამედ სურვილი იხმობს. ამას კეთილი და სათნო გული კარნახობს და მას არასოდეს უღალატია მისთვის. რწმენა დიდხანს სიცოცხლისთვის მოუწოდებს, უყვარს ყველა და ყველაფერი. ეს აძლევს ახლა ჯანის სიმრთელეს და ცდილობს საზოგადოების შუაგულში იტრიალოს, შეკრას მგზნებარე გულები.“

III ადგილი – „სხვისი შვილები“, ავტორი სალომე ბერიძე, ბოხვაურის საჯარო სკოლა, X კლასი. „... ბედნიერება ისე მცირეხნიანი აღმოჩნდა, როგორც მამისეულ სახლს მიყუჟული ცისკარს შეგებებული დედა მერცხლის საამო ჟრურტული.. მერე იმ დედა მერცხალივით დააფრთიანა ობოლი გოგონები. სხვისი შვილების დედის ტვირთი ატარა, მშობელი დედის ტვირთზე გაცილებით მძიმე საწუხარი.“

IV ადგილი – „მასწავლებელი“ ავტორი ნათია ალავიძე, №2 საჯარო სკოლა.

„... გიორგი კომახიძე არის ნამდვილი პირვნება. მისი ღვაწლი თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ, როდესაც თვალს გადაავლებთ მის მოღვაწეობას, დავინახავთ, რომ ამ კაცის საქმეები ნამდვილად არის მადლიანი.“

V ადგილი – ავტორი მარიამ სანიკიძე, დვაბზუს საჯარო სკოლა, X კლასი. ეძღვნება ტაძრის აღმდგენს, ხვიჩა საბაშვილს. „... ქველმოქმედება, ფილანტროპია, ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ადამიანი მხოლოდ იმისთვის აკეთებს, როს სხვანირად არ შეუძლია.“

რატომ გახდა ზემოთდასახელებულ თემათა მთავარი გმირები ჩვენი დროის ზნეობრივი მაგალითები, ამ საკითხებზე ისაუბრეს: ნინო ვაშალომიძემ, თეა ასიეშვილმა, ნინო ბილიხოძემ, ნინო ბასილაშვილმა, ომარ ბაკურაძემ. ვახტანგ მამეიშვილმა. თემურ სირაძემ და ავთანდილ თავართქილაძემ გამარჯვებულ ბავშვებს საჩუქრად გადასცეს წიგნები, სიგელები. ხატები და სიგელები გადაეცათ ასევე კონკურსის ყველა მონაწილეს.

საზოგადოებრივ პრობლემებზე ისაუბრეს მამა ვახტანგმა (თოხაძე), მამა მათემ (გორდელაძე). გივი გორგოშიძემ, გურამ ცერცვაძემ.

ქ-მა ზინა სალუქვაძემ, მისთვის ჩვეული ენამზიანობით დალოცა დარბაზის ყველა მონაწილე, შექმნილი ორგანიზაცია.

შეხვედრის მეორე ნაწილი ქართულ საგალობლებს, სიმღერებსა და ცეკვებს მიეძღვნა. მონაწილეობდნენ, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახ. სამრევლო სკოლის, წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის, ლიხაურის ხალხური სიმღერების გუნდის აღსაზრდელები (ხელ-ლი ნათია გორდელაძე). ხალხურ საკრავთა ორკესტრი (გიორგი ჩიხლაძე). ანსამბლი „სალაღობო“ (ჯემალ ჭელიძე). საოცარი მადლი მოჰფინეს დარბაზს ოთხი გურული ძმის, მამა მათეს ვაჟების გამოსვლამ.

იყო სურვილი, ყური დაეგდოთ მამულის ხმისთვის, სამი სიწმიდის ძალმოსილების, რომლის მადლი განფენილია მოყვასის გულში. როგორც თავად უწმიდესმა და უნეტარესმა ბრძანა – მამული, ენა, უფალი და ადამიანი!

საზოგადოება„ სანთელი“ მსგავს და განსხვავებული შინაარსის არაერთ ღონისძიებას გეგმავს სამომავლოდ.

ტიფო მიქატაძე ალეკო მამეშვილისგან ბრალდების დაკონკრეტებას ითხოვს

საკრებულოს თავმჯდომარედ. თუ რამდენად იქნება გათვალისწინებული საკრებულოს წევრებში მისი ამბიციები, რამდენად გათვალისწინებული იქნება ფავორიტ პარტიაში, რომელიც ამჟამად გადაწყვეტილებებს იღებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებზე, „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში“ ბატონი დიმა კვერღელიძის კანდიდატურა და რა ტიპის ინტერესები მოინახება და საერთოდ მოინახება თუ არა მათ შორის.

ასე, რომ მამეშვილის გადადგომა, კარგია თუ ცუდი, რამდენიმე დღეში გამოჩნდება. ამ მუნიციპალიტეტისთვის და მისი ხვალინდელი დღისათვის ვინ მოინახება ისეთი, ეს პირველი პოლიტიკური ფიგურა მუნიციპალიტეტის სინამდვილეში, რომელიც თავისი უნარ-ჩვევებით, თავისი გამოცდილებით უფრო მეტად აქტიური იქნება, უფრო დადებით ზეგავლენას დაატყობს როგორც მუნიციპალიტის განვითარებას, ზოგადად საზოგადოების განვითარებას, და პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობაშიც უფრო მეტად კომუნიკაბელური, უფრო მეტად გაწონასწორებული და მოზომილი იქნება.

განათლების ადრინდელმა რეფორმამ ყველაზე მეტად ქართული ცნობიერება დააზარალა

ნინო ნიკოლაიშვილი

– განათლების ადრინდელმა რეფორმამ ყველაზე მეტად ქართული ცნობიერება დაზარალა – ეს საფიქრალი უპირველესად იმ ადამიანთა ხმამაღალი განცხადებების საფუძველი გახდა, რომელთაც მეტად ხელეწოფებათ შედეგზე ფიქრი და რომლებიც ყოველდღე თავად აწყდებიან წინააღმდეგობებს.

ამიტომაც შეიკრიბნენ სიტყვიერების მასწავლებლები, ისტორიკოსები, დაწყებითი კლასების პედაგოგები, არასამთავრობო ორგანიზაციისა და საზოგადოების წარმომადგენლები განათლების ადრინდელ რეფორმაზე სასაუბროდ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის საქტო დარბაზში. ღონისძიების ინიციატორები გახლდათ დვაბზუს არასრული საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლალი ბასილაშვილი, განათლების, მეცნიერებისა და პედაგგთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაცია (ხელმძღვანელი როზა გოგუაძე).

ღონისძიებას ლალი ბასილაშვილი უძღვებოდა. მისი თქმით, განათლების სამინისტრომ 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე, ხელი შეუწყო ქართული ცნობიერების დაკნინებას, რაც გახდა საფუძველი ქართველ ახალგაზრდათა წიგნიერების დაბალი დონისა, და რაც ამ ბოლო პერიოდის კვლევებით დადგინდა.

– 2004 წელს გამოშვებული ბროშურის მიხედვით, რაც ასახავს განათლების მიზნებსა და ამოცანებს, ნებისმიერ საგანს აქვს თავისი ფუნქცია, მათემატიკას გაჩნია აზროვნების, კომუნიკაციის, შემეცნების ფუნქცია, ქართულ ენას კი მხოლოდ კომუნიკაციისა. ჩამოეჭრა ქართულის სწავლებას საათები, ალარ ისწავლება ქართული ენის გრამატიკა ცალკე საგნად, ასევე შემცირდა შესაბამისი საათები დაწყებით კლასებში. ჩვენ ვაცნობეთ განათლების სამინისტროს, ორგანიზაცია „სამრიტელი“ დაგვეხმარა, შესაბამისი წერილი გავუგზავნეთ, მაგრამ ვერაგულად მოხდა წაყრუება. პასუხიც მივიღეთ, ვერაფრით დაგეხმარებითო. ასევე დანაშაულია პირველი კლასიდანვე უცხო ენის შესწავლა სკოლებში, რადგან ბავშვი მშობლიურ ენაზე უნდა ეუფლებოდეს აზროვნებას. ქართული ენის გრამატიკა კი კვლავ აკაკი შანიძისა და ლეო კვაჭაძის წიგნით ისწავლებოდეს. აღნიშნა ლალი ბასილაშვილმა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილდა საუბრის უცხოურ დიქციასა და უცხო სიტყვათა მრავლად გამოყენებაზე.

ღონისძიებაზე დაისვა საკითხი სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების შესახებ, რაზედაც თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მამა ვახტანგმა (თოხაძე), მამა მათემ (გორდელაძე).

მამა ვახტანგმა დღევანდელ ნეოლიბერალთა მოსაზრებებსა და ილიასდრინდელ შეხედულებებზე გამახვილა ყურადღება, რაც შეეხება საღვთო სჯულის სწავლებას სკოლებში, მისი მოსაზრებით, საჭიროა სკოლებში ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია და არა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოება, რადგან მისი დაძალება არაქრისტიან მოსახლეობაში უარყოფით შედეგს გამოიწვევს. მამა მათეს მოსაზრებით, ეს საოცრად ფაქიზი გადასაწყვეტი თემაა, თითოეული მასწავლებელი თავად უნდა იყოს ზნეობრივი მაგალითის მიმცემი მომავალი თაობებისთვის, რათა მან შესძლოს ასწავლოს ბავშვებს მოყვასის სიყვარული და აჩვენოს გზა სავალი ჭეშმარიტებისაკენ. მელექედურის საჯარო სკოლის მასწავლებლის ნუნუ კუტუბიძის მოსაზრებით, ეს საუბარი რომ არ დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ საჭიროა ხელისუფლების მზრუნველობა პრობლემების მოსაგვარებლად.

შეხვედრაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს თეატრის მმართველმა ზაზა ჯინჭარაძემ, მხატვარმა ვახტანგ მამეიშვილმა, №1 საჯარო სკოლის მასწავლებელმა მაია მეგრელიშვილმა, რომელმაც არა მხოლოდ საათობრივი განაკვეთების, არამედ სახელმძღვანელოების ზომისა და შინაარსობრივი ცვლილებების შესახებ ისაუბრა. სამხატვრო გალერეის დირექტორმა ავთანდილ თავართქილაძემ მიზეზის ძიება დასახელა უპირველეს მოსაგვარებელ პრობლემად, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება შედეგებზე საუბარი. საკუთარი ლექსი „ანდერძი“ წაიკითხა ოერისტმა ომარ ბაკურაძემ. შეხვედრის ბოლოს ანსამბლი „სალაღობო“ (ხელმძღვანელი ჯემალ ჭელიძე) ქართული სიმღერებით გაუმასპინძლდა საზოგადოებას.

მოუარე გარემოს, გაილამაზე სიცოცხლე.

მარი კოკოევი

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ქალთა კლუბის საინიციატივო ჯგუფმა კვირას 16 ივნისს გამართა აქცია „მოუარე გარემოს, გაილამაზე სიცოცხლე“.

დასასუფთავებლად შეირჩა ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია, სანაპიროს ქუჩა.

მოქალაქეები ინტერესით ადევნებდნენ თვალს კლუბის მომუშავე წევრებს, რამდენიმე მათგანმა ნარჩენებისგან გაასუფთავა ახლომდებარე ტერიტორია, თუმცა გულისტკივილით აღნიშნა, რომ მოქალაქეებში ნაკლებია გარემოს დაცვის ჩვევები.

აქციის შემდეგ კლუბის წევრებმა კითხვებით მიმართეს ავტოსადგურის მიმდებარედ მომუშავე მოვაჭრეებს. – ცდილობთ, თუ არა, მოუაროთ იმ გარემოს, სადაც ხშირად გიწევთ ყოფნა? – ჩემს მაღაზიასთან მე ვასუფთავებ ადგილს, თუმცა მოქალაქეები, გამვლელები ნაკლებად იცავენ სისუფთავეს. ვუთითებთ კიდეც მათ, ზოგი ღებულობს შენიშვნას, ზოგი პირიქით აგრესიულად იქცევა. საუბრის ბოლოს გარემოს დაცვის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება.

კლუბის წევრები მადლობას უხდიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი ღურჯუმელიძეს, დასუფთავების სამსახურის უფროსს ვლადიმერ სალუქვაძეს, დასუფთავების სამსახურის თანამშრომელს ტარიელ ჟღენტს.

საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უქმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით, ნოდარ ანდღულაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა დიდი მაესტროს მშობლიურ ქალაქ ოზურგეთს.

ფესტივალი 8 წლის წინ შეიქმნა პატრიარქის საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით (ფონდის ხელმძღვანელი ლაშა ჟვანია).

საღამოზე შესრულდა აკადემიური, ვოკალური მუსიკა. პარტიარქის საგალობლები, ფოლკლორული ნიმუშები, ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნამუშევრები შეასრულეს ნოდარ ანდღულაძის აღზრდილებმა სალომე ჯიქიამ, ირინა ალექსიძემ, ალექსი მაჭავარიანმა, მამუკა მანჯგალაძემ. კონცერტმეისტერი ვიქტორია ჩაფინსკაია. ოროველას შესრულების დროს ალექსი მაჭავარიანს დარბაზიდან ბანი შეიდკაცას მომღერლებმა, ლებან ნინიძემ, ილო ინწკირველმა მისცეს, რამაც სტუმართა აღფრთოვანება გამოიწვია.

ბახვის საჯარო სკოლის დირექტორმა მზია ვაშალომიძემ გაიხსნა დიდი ბახველების დავით და ნოდარ ანდღულაძეების ცხოვრებისეული შტრიხები.

ღონისძიების ბოლოს ოზურგეთის სამუსიკო სკოლასთან არსებული გოგონათა ანსამბლი გამოვიდა (ხელმძღვანელი ნათია გორდელაძე).

ღონისძიება ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურისა და კულტურის ცენტრის მხარდაჭერით.

მშობლებს, პედაგოგებს!

გამოირჩევა თქვენი შვილი, მოსწავლე მშობლიური ლიტერატურისადმი სიყვარულით? ეგებ ლექსებსაც წერს, ჩანახატებსაც, ან ხატავს?! გინდათ მისი შემოქმედება საგოგადოება „თეთრი მანდილის“და გაგეთ „თეთრი მანდილის“მიერ გამოცემულ წიგნში იხილოთ?!

მაშინ მოგვმართეთ, მობრძანდით ჩვენთან, გაგვაცანით თქვენი შვილი, მოსწავლე, მოიტანეთ მისი შემოქმედების ნიმუშები, სურათი, ნახატი და გარკვეული შეთანხმების შემდეგ, სურვილს შეგისრულებთ! გელოდებით!

ღმერთს ვებარებოდეთ!

საგოგადოება „თეთრი მანდილის“ თავმჯდომარე ეთერ ქადეიშვილი.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3; ქალაქის მერია (მეორე სართული).

ტელ. (593) 32 43 15; 27-41-30.

ღვაწლის დაფასება

19 მაისს ლიხაურის საბავშვო ბაღის კარები კიდევ ერთხელ გაიღო იმ ქალბატონებისათვის, რომლებმაც ათეული წლების მანძილზე თავდაუზოგავად იღვაწეს ნორჩების საკეთილდღეოდ და ღრმა კვალი დაოვეს მისი სულის დაფაზე.

საბავშვო ბაღის კოლექტივმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად პატივი მიაგეს ამაგრადთ ლამაზი ნაღვაწისათვის. აქ იყო მოგონება, უამრავი თბილი სიტყვა, კრძალვა, ძალიან ლამაზი და სასიამოვნო გარემო.

გულშიჩამწვდომი, სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე სიტყვებით მიესალმა ღვაწლმოსილებს საბავშვო ბაღის მენეჯერი ნათია გობრონიძე, აღზრდილები და მოწვეული სტუმრები.

საღამოს არაჩვეულებრივი ელფერი შემატა ბაღის თანამშრომლების მიერ შესრულებულმა მხატვრულმა ნომრებმა.

უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით შეეხმიანა ღვაწლმოსილთ სკოლამდელთა საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი მაკა ჭყონია და პედაგოგთა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძე. მათ მადლობის ბარათი და მოკრძალებული საჩუქარი გადასცეს ვალმოხდილ ადამიანებს.

სანიმუშოდ მოწყობილ დარბაზში აუწყავი სითბო და სიყვარული დაიღვარა.

განსაკუთრებული გულისხმიერებითა და მადლიერებით აღსავსე იყო სბავშვო ბაღის ყოფილი მენეჯერის, ქალბატონ გულნარა მჟავიას მიერ წარმოთქმული სამადლობელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიხაურის სბავშვო ბაღის კოლექტივმა თავიანთი შესაძლებლობებით, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით საოცრად ლამაზი, ამაღლებული, ტკბილი მოგონებებით აღსავსე დღე აჩუქეს მოწვეულთ.

თინათინ გაფრინდაშვილი,
ლიხაურის სბავშვო ბაღის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე

მესტიაში ფესტივალზე

ქართული კულტურის, ფოლკლორის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კავშირმა მესტიაში ჩაატარა ფოლკლორულ ანსამბლთა ფესტივალი. მასში ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ. გურიიდან– შპს „გურია თრეველთან“ არსებული იური ჩიხლაძის სახელობის ხალხურ საკრავთა ინსტრუმენტული ანსამბლი „გურიის ვირტუოზები.“ (სტუდიის დირექტორი დავით კვერღელიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ჩიხლაძე, პედაგოგი მზია კვერღელიძე) მონაწილეობდა. ანსამბლის მიერ სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტის თანხლებით მაღალ დონეზე შესრულებულმა სიმღერებმა („მწყემსური,“„დილოცოს საქართველო“) ჟიურისა და მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა და მედლებითა და სპეციალური დიპლომებით აღინიშნა.

გზად სვანეთის ულამაზეს ბუნებასთან ერთად სოფ. ლატალში X საუკუნის ძეგლი, იოანე ნათლისცემელის სახელობის ეკლესია-მონასტერი დავთვალიერეთ. შემდეგ ენგურჰესიც მოვინახულეთ.

მადლობა მიკროავტობუსის მძღოლს ილო გობრონიძესაც ეკუთვნის.

ნოდარ დონაძე.

ოზურგეთელ მძლეოსანთა წარმატება

8-9 ივნისს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს 2013 წლის ღია ეროვნული ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც ოზურგეთელთა 6-კაციანი გუნდი იღებდა მონაწილეობას. ოზურგეთლება გუნდურ ჩათვლაში 181 ქულით II ლიგის გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა და პირველ ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, ხოლო პირად პირველობებში შემდეგი საპრიზო ადგილები:

ნიკა კარტაცევი –400 მ. რბენა I ადგილი (შედეგი 48,30 წმ; 200 მ. რბენა II ადგილი (შედეგი 22, 01 წმ.);

გოგა ჭინჭარია –ურო ტყორცნა, I ადგილი (შედეგი 53,3 მ);

ბირთვის კვრა, II ადგილი (შედეგი 12, 21 მ.);

ზურაბ რუსიეშვილი –შუბის ტყორცნა, II ადგილი (შედეგი 45,05 მ.);

სოფო შათირიშვილი –ბირთვის კვრა, II ადგილი (შედეგი 10, 17მ.);

ნანი პაკელიანი –ბადროს ტყორცნა –III ადგილი (შედეგი 34, 19 მ.)

ნიკა კარტაცევმა, ზურაბ რუსიეშვილმა, გოგა ალთუნაშვილმა და შოთა ზოიძემ ესტაფეტაში 4X100 II შედეგი აჩვენა (46,06 წმ.) ხოლო ნიკას შედეგია 4X!00 I შედეგი ჰქონდა.

ოზურგეთის გუნდმა საერთო ჯამში თასი, 3 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ასევ ევროპის გუნდურ ჩემპიონატში –სლოვაკეთში ორი ლიცენზია მოიპოვა.

შეჯიბრებაში სპორტული გამოცდილების მისაღებად მონაწილეობდნენ ნორჩი სპორტსმენები ანა მუჯირი, მარი კეკელიძე, გოგა ალთუნაშვილი.

გუნდი შეჯიბრებისთვის **მარინა კოტრიკაძემ** მოამზადა.

ვულოცავთ მარინა კოტრიკაძეს და მის აღზრდილებს ამ დიდ წარმატებას.

გახსენება

სოკრატ (სოსო) სალუქვაძე

სოსო, რა მოკლე ყოფილა წუთისოფელი. ერთი წელი გავიდა რაც წახვედი. შენი დაკრძალვის დღეც ისეთივე ბობოქარი იყო, როგორც შენი ცხოვრება. მართალია ახალგაზრდა არ იყავი, მაგრამ აბსოლუტური გონება გქონდა. უამრავი საინტერესო ეროვნული საქმე დაგრჩა ჩაფიქრებული გასაკეთებლად. შენი ბოლო წიგნის მაკეტიც ჯერ-ჯერობით ისევ ისე დევს, როგორც დატოვე.

საოცარი პიროვნება იყავი, დარგისთვის დაუღალავი მკვლევარი და გულშემატკივარი. ისეთივე სამეგობრო გყავდა ნებისმიერ სფეროში. ყველა გამორჩეული ადამიანი შენი მეგობარი იყო: მწერლები, პოეტები, მხატვრები, ხელოვნების და თითქმის ყველა დარგის ელიტარული სამყარო.

ძალიან კარგად კითხულობდი და თითქმის ყველა ლექსი ზეპირად იცოდი მუხრანის, შოთა ნიშნიანიძის, გალაკტიონის, ანა კალანდაძის, ტერენტი გრანელის, ლადო ასათიანის ხალხური პოეზია სხვები.

არაერთხელ მიგიღია მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა შორის დუეტში პოეტ შოთა ხოდაშნელთან ერთად. იყავი იყალთოს აკადემიის საპატიო წევრი და მოქალაქე.

ყველა სპექტაკლის თუ ნებისმიერი ახალი დადგმის მუდმივი მაყურებელი იყავი და შენს აზრს ყოველთვის იზიარებდნენ და ანგარიშს უწევდნენ. სპექტაკლის შემდეგ ირაკლი უჩანეიშვილის და ზურა ქაფიანიძის წინამღოლობით მსახიობები სახლში მოდიოდნენ, გეუბნებოდნენ, შენ შუბლგახსნილი და გულგახსნილი გვხდები, შენთან მოსვლა ყველას გვიხარიაო. იმართებოდა ნამდვილი ზეიმი, პაექრობა ეროსისთან, კოტე მახარაძესთან, გოგი გელოვანთან, სერგო ზაქარიაძესთან (შენ ხომ მისი შვილიშვილის ნათლია იყავი), გურამ საღარაძესთან, თენგიზ არჩვაძესთან, ოთარ მელვინეთუხუცესთან, თითქმის ყველასათან. შენ ხომ უბადლო თამადა იყავი, აკი გადაიღეს კიდეც დოკუმენტური ფილმი „თამადა,“ „ახალი წელი,“ ხოლო „რეალობა და მითები“ შენივე სცენარით, სადაც წამყვანი თვითონ იყავი, წლის საუკეთესო ფილმად იქნა აღიარებული.

სუფრას ყოველთვის ამშვენებდა ანსამბლ „რუსთავის“ წევრები –ჰამლეტ გონაშვილი, ანზორ კავსაძე, რამინ მიქაბერიძე ხომ შენს გვერდით იყვნენ. ახლა კი დაგვრჩა გოგი თოთიბაძის ტილო –შენ ყანწით ხელში.

შენს სუფრას ხომ აკადემიას ეძახდნენ. სუფრას ყოველთვის ამშვენებდა მწერლები, პოეტები, მხატვრები, ელიტარული სამყაროს წარმომადგენლები. არაერთხელ მოუყვანია ჭაბუა ამირეჯიბს, ზაურ ბოლქვაძეს, ოტია იოსელიანს, ნოდარ დუმბაძეს, ოთარ მამფორიას უცხოელი სტუმრები სახლში (მიუხედავად ჩვეულებრივი ცხოვრებისა, რომ შევწუხდებოდით, –ეს ხალხი კედლებს არ უყურებსო –გვეტყოდნენ).

ბოლო წლებში დუხჭირ ცხოვრებას ძალიან განიცდიდი, ასე ბავშვობაში ვაიყავიო, ობლად გაზრდილს მძიმე ბავშვობა გქონდა.

იყავი პირდაპირი, ხალასი, სასიამოვნო მოსაუბრე, კოლორიტული პიროვნება – არ მერიდება ამის თქმა. ღოცა ჩამოხვიდოდი სოფელში, მესამე-მეოთხე დღეს გაზეთ „ალიონის“რედაქციაში მიდიოდი სტატიით ხელში –იქ შენ ყოველთვის სითბო გხვდებოდა.

მთხოვდი, რომ მეწყინება, ისეთი არაფერი მითხრაო. ახლა გეუბნები: აპრილში ზაზა გარდაიცვალა (შვილივით რომ გიყვარდა), მაისში –ნუგზარი, ივნისში შენ, ივლისში –გიზო. ერთად გაზრდილი ბიძაშვილის გური მყავიას ორმოცზე ჩამოსული იქაც ვეღარ მიხვედი. ერთი წლის წინ კი ჩემი ძმა –ჯონი გარდაიცვალა, რომელსაც ძალიან განიცდიდი.

ახლა კი ყველანი ერთად ხართ.

ჩვენი შვილიშვილი ლევანი ისეთი ახალგაზრდაა, რომ გაგეხარდება. სოფო –საუკეთესო მოსწავლეა.

სოსო, ეს სტრიქონები შენი სპეტაკი სულის ძალიან მცირე, ტკივილიანი –მწარე მოგონებაა, რომელსაც ვინც გიცნობდა, დავიწყება არ უწერია.

მერი მუჯირი.

ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბასილი (კვირჩილაძე), სამღვდელოება და მრევლი თანაუგრძნობენ ბატონ გურამ გელაშვილს სიძის, **ვანო ლაცაბიძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე